სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №207/01-01, 23.10.2017წ.
დანართი №1

2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიის კანდიდატის შერჩევა 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

კანდიდატი შეირჩევა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატის შერჩევა

კანდიდატის შერჩევა ხორციელდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების გამოყენებით თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

შეფასების კრიტერიუმები:

1. აკადემიური მოსწრება (0-30)
2. მოტივაცია (0-30)
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო კურსების თანხვედრა (0-20)
4. საერთაშორისო გამოცდილება (0-5)
5. ენის ცოდნის დონე (0-15)

4. სტიპენდიატის გამოვლენა

სტიპენდიატის გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.